საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №33
2021 წლის 29 ივნისი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008, №175, სარეგისტრაციო კოდი: 300.280.000.16.009.012.460) 10^1 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიწოდების დროებითი ტარიფები:

ა)	220/380 ვოლტი:		
	2021 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 1 იანვრამდე	-	17.072 თეთრი/კვტსთ;
ბ)	3,3-6-10 კილოვოლტი:		
	2021 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 1 იანვრამდე	-	18.136 თეთრი/კვტსთ;
გ)	35-110 კილოვოლტი:		
	2021 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 1 იანვრამდე	-	18.120 თეთრი/კვტსთ.“.

მუხლი 2

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია გადაწყვეტილებით განსაზღვრავს შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის“ მიერ ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიწოდების საქმიანობის ფარგლებში შესასყიდი ელექტროენერგიის ოდენობას.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	დავით ნარმანია
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	გიორგი ფანგანი
კომისიის წევრი	მაია მელიქიძე